



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 2 22 0000251050



14/03/2022

სსიპ კოლეჯ „ერქვანისთვის“ „მარნის გიდი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის
გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ კოლეჯ „ერქვანს“ (ს/კ: 222934671) განესაზღვროს ვადა პროფესიული მომზადების პროგრამის - მარნის გიდი /01265/ - ხარვეზის გამოსასწორებლად.
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 14 მარტის №250347 ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი

